საქართველოში COVID-19-ის იმუნიზაციაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა

რატი ნავრუზოვი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მირზიკაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ექსპერიმენტულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რატი ნავრუზოვი

16.01.2025

აბსტრაქტი

Covid-19-ის აფეთქებას ჩინეთში მალევე მისი გავრცელება მოყვა. ვირუსი ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში, რასაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან მალევე მისი პანდემიად გამოცხადება მოყვა. ისტორიულად ვირუსებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ იარაღად ვაქცინაცია მოიაზრება. ვირუსის გაჩენიდან ერთ წელიწადში მეცნიერების დაუზოგავი შრომითა და რესურსების მობილიზების წყალობით მსოფლიოს Covid-19-ის პირველი ვაქცინა გააჩნდა. ვაქცინების შემუშავება მოიაზრებოდა დაავადებასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატების მომტანად. საქართველოში პირველი ვაქცინა 2021 წლის მარტში შემოვიდა. ქვეყანა მომზადებული შეხვდა ვაქცინაციის პროცესს, პირველ ეტაპზე იყო ხელმისაწვდომობის პრობლემა და დიდი მოთხოვნა ვაქცინების პირველ დოზებზე.

სამწუხაროდ, ვაქცინაციის დასაწყისში ტრაგიკულად, ვაქცინის შემდგომი გართულებით ანაფილაქსიური შოკით გარდაიცვალა სამედიცინო მუშაკი, ექთანი, რამაც გავლენა იქონია საზოგადოების ნდობასა და ქვეყანაში იმუნიზაციის ხარისხზე. თუმცა რამდნიმე თვეში, ივლისში ვაქცინების ახალი პარტიის მიღებას მოყვა იმუნიზაციის ჯაჭვის სიმტკიცე და საქართველოში Covid-19-ის ვაქცინაციის სწრაფი გავრცელება. მიუხედავად ამისა, აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დასაწყისში იმუნიზაციაზე მოთხოვნა შემცირდა, ქვეყანამ ვერ მიაღწია ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ ნიშნულს. ვერ მოხდა საქართველოში შემოტანილი ვაქცინების ათვისება და მოსახლეობის მაღალი მოცვა, რის გამოც ქვეყანაში დაფიქსირდა სიკვდილიანობის მაღალი რიცხვი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში Covid-19-ის იმუნიზაციაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. რისთვისაც ჩატარდა თვისობრივი კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდით ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და იმ

ადამიანებთან, ვინც უშუალოდ იყვენენ ჩართულნი საქართველოში პანდემიისა და იმუნიზაციის მართვის პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში Covid-19-ის იმუნიზაციაზე მოქმედი ფაქტორები მრავალფეროვანია. მათ შორის კი, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე მოახდინა პირველ რიგში ტრაგიკულად დაღუპულმა ექთნის შემთხვევამ, საზოგადოებასა და სამედიცინო წრეებში ვაქცინაციის უნდობლობამ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ, მოსახლეობასთან არასწორმა და დაგვიანებულმა კომუნიკაციამ, აგრეთვე სამედიცინო პერსონალის დეფიციტმა ქვეყანაში.